№ 208, ოქტომბერი 3, შაბათი 1892 ოქტომბერი 3, შაბათი № 208

ივერია

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, გუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (3—4)

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან.

საზოგადოების მმართველობა აუწყებს ვენახებისა და ხეხილიანის ბაღების პატრონთ ᲓᲐ აგრეთვე იმათ, ვისაც მოჰყავს თუთუნი, სვია, ბამბა და სხვ., რომ მსურველთ ყოველ ამის დასაზღვევად სეტყვისაგან შეუძლიანთ მიჰმართონ საზოგადოების სანდო კაცს დ. ქ. თუთაევს.

(აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი).

გამგე ვ. ა. ტარგონსკი

(5—1)

ქართული თეატრი

კვირას, 4 ოქტომბერს

პირველად ამ სეზონში არტისტის ვ. დ. უიფიანის მონაწილეობით ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან წარმოდგენ. იქნება:

I

და-ძმა

ორიგინალური დრამა 5 მოქმ. მეგრელთ წარსულ ცხოვრებიდგან (XVII ს.) ვალ. გუნიასი.

II

პირველად ახალი პიესა

არც იქით, არც აქეთ!...

ვოდევილი-ხუმრობა 1 მოქმედ., გადმოკ. ვ. გ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ტარიელოვისა, რჩეულოვისა (ახალი); ბბ. აბაშიძე, უიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, მჭედლიძე, ადამიძე, გუნია და სხვ.

მოქმედების 1 სურათში ქართული ხორო ბ-ნის რატილისა შეასრულებს რამდენსამე ეროვნულს სიმღერას და ზოლის იგალობებს ლოცვებს.

შეგირდებისთვის კუპონები ლოჟაში 60 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

რადგან ამ თთვიდგან შემოღებულ იქმნა ახალი ხარჯი იმპერატრიცა მარიას დაწესებულებათა სასარგებლოდ, ამიტომ თეატრის ადმინისტრაცია აუწყებს პატივცემულს საზოგადოებას, რომ ის ბილეთები, რომელსაც მარკა არ აქვს, გამოუსადეგარია. ახალი ხარჯი ასეა შეწერილი: იმ ბილეთებზედ, რომელიც ათ შაურზედ მეტი არა ღირს, 2 კაპეიკი, მანათამდე თუ ჰღირს—5 კაპ., მანეთიანი და მეტისა—10 კაპ., ლოჟების ბილეთებზედ ადგილების რაოდენობის მიხედვით.

ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

მიხეილის სამკურნალოში დილით 30 სექტემბერს ხოლერით ავადმყოფი იყო 2; არც 30 სექტ. და არც 1 ოქტომბერს ხოლერით ავადმყოფი არავინ მიუყვანიათ.

ტფილისის მაზრის ს. ნორიოში კიდევ გახდა ერთი კაცი ავად ხოლერით; წინანდელ ავადმყოფთაგან 1 სრულიად მორჩა, 1 რჩენაში შედის.

გორის მაზრის ს. ზემო-გომში მორჩა 1, ახლად არავინ გამხდარა ხოლერით ავად. ს. ზემო-ჭალაში მორჩა 2, ავად აღარავინ გამხდარა. გორის მაზრის ექიმმა როცა უკანასკნელად დაიარა, ხოლერით ავადმყოფი აღარსად აღმოჩნდა, გარდა ბორჯომის საბოქაულოსი.

ახალქალაქს 17 სექტ. ავად აღარავინ გამხდარა. 19 სექტ. მორჩა 1.

◆

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მივიღეთ ძირულიდგან გამოგზავნილი ბ-ნ ილ. ჭიჭინაძისაგან 3 მანათი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ. ამ ფულისა აქამდე გვქონდა 1119 მან. 15 კაპ., ამითი შესდგა 1122 მან. 15 კაპ.

⁂ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა სუხუმის ეპისკოპოსი აღაფოდორი გუშინ ტფილისში ჩამოვიდა.

⁂ თელეთის ხევში მოკლულ კაცისა და მკვლელის ვინაობა პოლიციამ უკვე აღმოაჩინა. მოკლული ყოფილა ტფილისის მოქალაქე გიორგი გასპაროვი, ხოლო მკვლელი საგურამოს მცხოვრებელი ზაქარია ჭილაშვილი. ჭილაშვილმა გამოაცხადა, რომ ამ კაცის მოკვლა მარტო მე არ ჩამიდენია, მონაწილე იყო აგრეთვე მოკლულის მეუღლე, რომელიც შეიპყრო პოლიციამ.

⁂ წელს მცხეთობას მშვენიერი დარი დაუდგა და დიდ-ძალი ხალხიც წავიდა ტფილისიდგან. მცხეთის ტაძარში მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ, მათ ყოვლად უსამღვდელოთ ეპისკოპოსთა ალექსანდრე და აგათოდორეთურთ, წირვის შემდეგ პარაკლისი გადიხადა და ლიტანიით გარს შემოუარა ეკკლესიას. პარაკლისს შემდეგ ექსარხოსი პალლადი მცხეთის სამთავრის დედათა მონასტერში წაბრძანდა. ექსარხოსმა ინახულა მონასტრის სკოლა, სადაც ამ ჟამადა 43 მოწაფე სწავლობს (მათ შორის 24 პანსიონშია). ექსარხოსს მოწაფენი „მეუფეო ზეცათაო“-ს ქართულ ენაზედ გალობით მიეგებნენ და, რადგანაც უფროსნი მოწაფენი ჯერ არ დაბრუნებულან, ექსარხოსის თხოვნა იმავე ლოცვის რუსულად თქმისა მოწაფეთ ვერ მოახერხეს. ამის გამო ექსარხოსმა უბძანა მონასტრის წინამძღვარს, დიდი ყურადღება მიაქციოს რუსულის ენის სწავლებას.

⁂ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი შეეკითხა სახელმწიფო რკინის გზათა სამმართველოს პეტერბურგში, გავაუქმოთ თუ არა ხოლერიანთა თავ-შესაფარი ფარდულები. სამმართველოს უარი მოუწერია. ამის გამო ამ ფარდულებს გაჰლესავენ და საზამთროდ მოაწყობენ. ამისთანა საზამთრო ფარდულები იქმნება ბაქოს, აჯიქაბულს, ევლახს, განჯას, ალსტაფას, გომსა და სამტრედიას.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, მთელი ტფილისი 10 საპოლიციოო ნაწილად არის გაყოფილი. სხვათა შორის ერთი უდიდეს ნაწილთაგანი ავლაბარია, რომელსაც უშველებელი ადგილი უჭირავს. ავლაბარი ოთხ უბნად არის განაწილებული და თითოეული მისი უბანიც-კი, მაგალითებრ პირველი, რომელიც სურბკარაპეტის ხევიდგან იწყება და ავლაბრის მოედნამდე უწევს, უდრის პოლიციის მერვე განყოფილებას. წარმოიდგინეთ, ამ უშველებელს უბანში მხოლოდ ერთად-ერთი პოლიციელი დგას, რომელსაც ხშირად თვით პოლიციაც-კი ძნელად იპოვნის და ძნელად მიაწვდენს ხოლმე სტვენის ხმას, იმდენი დახლართულ-დახვლანჯული ქუჩაა და ისეთი დიდი სადარაჯო აბარია ამ პოლიციელს. რამდენჯერმე ეთხოვა, ვისიც ჯერ არს, პოლიციელთა რიცხვი გამრავლდეს ავლაბარშიო, მაგრამ ეს თხოვნა აქამდე შეწყნარებულ არ იქმნა. ამასობაში ყოველ დღე ხშირია ჩხუბი, ქურდობა და აყალ-მაყალი და პოლიცია სიმცირისა გამო ვერ ადევნებს ყველგან თვალ-ყურს. მართლაც, კარგი იქნება ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და დაკმაყოფილებულ იქმნას ავლაბრელთა კანონიერი სურვილი.

⁂ ჩვენ მოგვივიდა „ახალი საპოლიტიკო რუკა ევროპისა“, შედგენილი ბ-ნ თ. ი. ანსკის მიერ და დაბეჭდილი მოსკოვში. ამ რუკის დანიშნულება ის არის, რომ ხელი შეუწყოს კაცს გაზეთებისა და დეპეშების კითხვის დროს. ხშირად ადამიანი კითხულობს რომელისამე ქვეყნის ამბავს და არ-კი იცის, სად არის ის ქვეყანა; ამოიკითხავს სახელწოდებას რომელისამე ქალაქისას, მდინარისას, და ვერც-კი წარმოუდგენია, სადა მდებარეობს, რომელ ქვეყანაშიაო. ამისთანა შემთხვევისათვის ასეთი რუკა ძალიან სასარგებლოა. რუკა ჰღირს 1 მან.

⁂ რკინის გზის სასანიტარო კომისიის ინსპექტორმა ბ-მა გრაჩოვმა მისწერა ტფილისის სადეზინფექციო სადგურის მმართველს ბ-ნ რუბინშტეინს, სადეზინფექციო წამლებით აპკურეთ ყველა ბაქოდგან მომავალი მგზავრი ᲓᲐ ორთქლში გაატარეთ იმათი მაფრაშები, ხალიჩები, ფარდაგები და სხვა ნივთებიო. ეს განკარგულება იმან გამოიწვია, რომ ამ ბოლოს დროს ბაქოში ხელ-ახლად ხოლერა გაჩნდა ᲓᲐ სახადიც და ხალხი ბაქოდგან ძლიერ ბევრი მოდის ტფილისს.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუდგენია პროექტი საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბეითალები საქონელს გასინჯავენ და,

---

ფელეტონი

ჩვენის ისტორიის მოყვარულთა საყურადღებოდ.

როგორც ცნობილია, ჩვენი ისტორია დაფუძნებულია რამდენსამე ძველს მატიანეზედ, რომელიც ერთად არის შეკრებილი და იწოდება „ქართლის ცხოვრებად“. ეს მატიანე მე-XVI საუკუნიდამ განუგრძვია მეფე ვახტანგ VI და უმეტესად ვახუშტის, რომელთაც თავიანთ დრომდე მოუყვანიათ საისტორიო მოთხრობანი. ვახტანგ-ვახუშტის შეუდგენიათ სხვა-და-სხვა ქრონიკებისაგან ერთი საზოგადო ქრონიკა; ეს ქრონიკა ბროსსეს ლიტოგრაფიით დაუბეჭდია პარიჟში და იწოდება „chronique Georgiene“-ად. ამათ გარდა, მე-XVIII საუკუნეში ცალკე მატიანე უწერიათ სხვათაცა, რომელთა ნაშრომი ჩართულია „ქართლის ცხოვრების“ მეორე წიგნში.

ძველადვე ბევრს შეუნიშნავს ორი ნაკლულევანება „ქართლის ცხოვრებისა“: ერთი ისა, რომ ჩვენს მატიანეში ფრიად მოკლედ მოთხრობილია ბევრი მეტად საყურადღებო ამბავი, და მეორეც ისა, რომ „ქართლის ცხოვრება“ (განსაკუთრებით პირველი მისი ნაწილი) ღარიბია ქრონოლოგიით. აღსავსებელად ამ ნაკლულევანებათა ზოგიერთებს ძველადვე შეუტანიათ, ანუ, უკეთ ვთქვათ, ჩაუკერებიათ რამდენიმე ცნობა, როგორც ეს შენიშნეს და რამდენადმე დაგვიმტკიცეს ბროსსემ და უკანასკნელად დ. ბაქრაძემ. ამ არქეოლოგთა შემდეგ-კი არც ერთი ახალი და საფუძვლიანი აზრი არ წარმოთქმულა ჩვენს მწერლობაში ამ საგნის შესახებ. ხოლო მე-XVIII საუკუნეში ყველაზედ ბევრი ცნობა შეუტანიათ «ქ. ცხოვრებაში» ვახტანგ მეფეს, ვახუშტის და უკანასკნელ ბატონიშვილს თეიმურაზს. სამწუხაროდ, ორი ცუდი ზნე სჭირებიათ ჩვენის მატიანის შემავსებელთ. პირველად ის, რომ არ დაუსახელებიათ წყარო, საიდამაც ამოუღიათ მათ მიერ ქრონიკაში ჩართულნი ცნობანი, რის გამო ნდობა და საბუთიანობა ეკარგება მათს ცნობებს; და მეორედაც ის, რომ ხშირად უალაგო-ალაგას ჩაუკერებიათ მატიანეში. ამით ხშირად ბნელდება მოთხრობა, ჩნდება ესრედ წოდებული „სინქრონიზმები“, „ანაქრონიზმები“: შემდეგის საუკუნოების ამბები წინა საუკუნეებისათვის მიუკუთვნებიათ და წინა საუკუნეებისა-კი შემდეგისაში ჩაურთავთ. ამით, რასაკვირველია, აქა-იქ არეულა რამდენადმე მოთხრობა. ამის გამო აქა-იქ აღმოჩენილმა უსწორ-მასწორობამ ბნელი მოჰფინა მთელს მატიანეს, ეჭვი დაჰბადა და ბევრს აფიქრებინა, მთლად მატიანე საეჭვოა, სიმართლესა და სისწორეს მოკლებულიო. ეს გარემოება თითზედ დაიხვიეს ჩვენის ერის მოძულეთა, ცრუ-მეცნიერების საჭურველით აღიჭურვნენ და უარ-ჰყვეს მთელი ჩვენი ძველი სახელოვანი ისტორია.

ზემოხსენებულმა გარემოებამ დაჰბადა საისტორიო კრიტიკის საჭიროება: აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა, რომ შეეფარდებინათ ჩვენი ისტორია მსოფლიო და მეზობელ ერთა ისტორიისათვის, შეევსოთ და გამოერკვიათ, აეხსნათ და გაესწორებინათ ჩვენს მატიანეში მოთხრობილი. ამასთანავე უნდა შევსებულიყო ქრონოლოგიური ნაკლიცა.

ეს ფრიად მძიმე შრომა პირველად იტვირთა ბატონიშვილმა ვახუშტიმ, რომელმაც დიად დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ისტორიას. მისგან შედგენილი საქართველოს ისტორია და გეოგრაფია რუკებით დიად სამართლიანად დაფასებულ იქმნა შემდეგთა მეცნიერთა მეისტორიეთაგან. მისგან დამყარებულს ქრონოლოგიას თვით უწარჩინებულესმა მეცნიერმა ბროსსემაც ბევრი ველარა დაუმატარა. საზოგადოდ, რაც დარჩა ვახუშტის გასაკეთებელი, ის რამდენადმე შეავსო ბატონიშვილმა თეიმურაზმა და უმეტესად-კი—ბროსსემ. ბროსსემ არა თუ შეჰკრიბა ახალი ცნობანი, წარწერანი, გუჯარნი და უცხო ქვეყნის მეისტორიეთა მოთხრობილნი საქართველოს შესახებ, არამედ კრიტიკულად გადასინჯა მთელი ჩვენი მატიანეები და, რაც მანამდე გამოურკვეველი დარჩენილიყო, მათ შორის ბევრი რამ ახსნა და გამოარკვია. ბროსსეს შემდეგ შესამჩნევად წინ არ

თუ ჭირიანი აღმოჩნდა, მოჰკლავენ და საქონლის პატრონს მესამედს ფასს მისცემენ; და თუ საეჭვო საქონელს მოჰკლავენ—სრულს ფასსა. ამ ხარჯის დასაფარავად განზრახულია საქონლის გასინჯვისათვის გარდასახადი დააწესონ. სხვილფეხ საქონელზე ღირებულ ფასის $2^0/_0$ და წვრილფეხ საქონელზე $1^0/_0$ („P. B.")

⁂ აფთიაქის ნიხრი უკვე შესცვალეს და სამკურნალო საბჭოს წარუდგინეს. წამლების ფასები $15^0/_0$ დაკლებულია.

⁂ ვაჭარს ილია მამულოვს, რომელიც ბაზაზხანაში ვაჭრობს, დამღა დაუსმელი საწონის ქვები აღმოუჩინეს, ოქმი შეუდგინეს და სამართალს მისცეს.

⁂ ოფიციალურის ცნობით 15 ივნისიდამ 1 ივლისამდე გადამდებ სენით ტფილისში ავად გამხდარა: ხუნაგით 5 კაცი, გარდაცვლილა 2; 1 ივლისიდგან 1 აგვისტომდე ავად გამხდარა: ყვავილით 2, ხუნაგით 5, შავის სახადით 1; გარდაცვ. ხუნაგით 2; შავის სახადით 1. 1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე ავად გამხდარა: ხუნაგით 23, სახადით 1, გარდაცვლ. ხუნაგით 5, სახადით 1; 1—19 სექტემბერს ავად გამხდარა: ყვავილით 1, ხუნაგით 4, გარდაცვლ. ხუნაგით 1.

⁂ ინგლისურ საეკონომიო ჟურნალ „Statist"-ში დაბეჭდილია იმის ანგარიში, თუ წელს როგორი მოსავალია ჭირნახულისა. ამ ანგარიშის გამო „Statist"-ი სწერს: პურის ფასმა სექტემბერს ძლიერ დაიწია, კიდევ ორ თთვეს მცირე იქნება და მერე-კი თან-დათან იმატებსო. ამის მიზეზები არის: მოუსავლობა რუსეთისა, რის გამოც სამხრეთი ამერიკა, ინდოეთი და ავსტრალია იძულებულნი იყვნენ შენახულის პურის ერთი ნაწილი გაეყიდნათო.

⁂ ბათუმიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ გუშინ იქ მობრძანებულა ნოვოროსიისკიდგან კავკასიის მთავარ-მართებელი, რომელიც ამ თთვის 3 ბათუმიდგან აბასთუმანს გაემგზავრება.

⁂ საფოსტო უწყებას, როგორც ამბობენ, ფრიად სასარგებლო ცვლილების შემოღება სურს. ფულს ფოსტით-კი არ გაჰგზავნიან ერთ ადგილიდგან მეორეს, როგორც აქამდე იყო; ფულის გამგზავნს კვიტანციას მისცემენ და ფულის მიმღებს გაუგზავნიან ტალონს, რომელსაც მიმღები ფოსტის კონტორას წარუდგენს და ფულს მისცემენ. ეს ცვლილება ფრიად სასარგებლო იქნება. ჯერ ერთი, რომ ფულის გაგზავნის ხარჯი შემცირდება, მეორე გზაში ფული არ დაიკარგება და ფოსტის გაძარცვაც იშვიათი იქნება, და, ამას გარდა, ფოსტის მოხელეთ ძლიერ გაუადვილდება საქმე, რადგანაც ფულიან პაკეტების დაბეჭდვას ძლიერ დიდი დრო და შრომა უნდება.

⁂ ფოილა: 1 ოქტომბერს ღამე მატარებელმა გასრისა 161 ვერსზედ რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი ნ. ქევაკოვი.

⁂ ქუთაისი: 10 ოქტომბრისთვის აქაც იწყება ქართულის თეატრის სეზონი. დასი შემდგარია კ. მესხის თაოსნობით. ახალი თეატრი კ. მესხიმ და ნ. გამრეკელმა ისეთის მშვენიერის ახალის დეკორაციებით შეამკეს, რომ უკეთესი, მგონი, არც თქვენა გაქვთ ტფილისში. დეკორაციები დახატულია ცნობილ მხატვარ მილეარისაგან. დასში არიან ქალნი: ე. ს. მესხი, ე. ნ. ჩხეიძისა, ე. მ. მძინაროვისა (ტფილისელი), ქ-ნი რჩეულოვისა (ტფილისელი) და სხვ. კაცნი: კ. ყიფიანი, კ. მესხი, დ. მესხი, ნ. ბადრიძე, მ. ჯა—ნი, ვას. ბალანჩივაძე, გ. აბაშიძე, ბ-ნი ჯაფარიძე, იას. გაბაშვილი, მ. ბოლქვაძე, ბ-ნი მინდელი, ვ. გაბიჩვაძე და სხვ. ახალი პიესებიც საკმაოდ აქვს დასს. სხვათა შორის, წარმოდგენილი იქნება: დალილა—ფელიესი, ფრანგულით ნათარგმნი, დენიზა—დიუმასი, დამონებული მხეცი—დენერისა, სიყვარულის ბრძოლა—დ. მესხისა, ლანგ-თემური—კ. მესხისა და სხვ.

⁂ ს. ნორიო. ნორიოში მეორედ იჩინა ხოლერამ თავი. ამ დღეებში აქ მოვიდნენ ტფილისის მაზრის თანაშემწე ვ. ბ. კოტოვიჩი, თავმჯდომარე მე-11 სასანიტარო დასისა ნ. ი. ნიკოლაძე და იმავე დასის მკურნალი ბ. არუთინოვი, ამ დასმა გამოიკვლია, საიდგან და როგორ გაჩნდა ხოლერა, და აღმოაჩინა, რომ ახალქალაქიდგან, სადაც ამ ჟამად ჯერ კიდევ ხოლერა არის, ჩამოუტანიათ იქაურს მცხოვრებთ თიხის ჭურჭელი გასასყიდად. სასანიტარო დასმა ამ ჭურჭლის ხმარება აუკრძალა სოფლელებს და სადაც ხოლერით ავადმყოფები იყვნენ, იმ სახლებს სადეზინფექციო წამლები ასხურეს.

⁂ ბეკამიდგან სწერენ გაზეთს „Т. Л.": შარშან აგვისტოს თთვეში ჩვენს სამამასახლისოს ეწვია საფილოქსერო დასი და ვენახები დასინჯა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ვენახში ფრთოვანი ფილოქსერა გაჩენილიყო. ვაზის წამლობა მაშინ შეუძლებელი იყო და ამიტომ ეს წამლობა კომისიამ შემდეგის წლისათვის გადასდო. წელს ივნისისა და აგვისტოს თთვეებში საფილოქსერო დასი ხელ-მეორედ გვეწვია და ვაზებს უწამლა რამდენისამე მემამულეს თანადასწრებით. ამ ჟამად ყველა იმ ვენახში, სადაც ვაზებს უწამლეს, ჩინებული მოსავალია.

⁂ 30 სექტემბერს დიდს ტალახის ქუჩაზედ, ტერ-ოჰანეზოვის სახლში, პურის საცხობის პატრონს ვლადიმერ მუჩაიძეს სინჯვის დროს რეოლვერი გაუვარდა და გულში მოხვდა სოფ. მრავალძალის მცხოვრებელს პლატონ დავითისძეს სხირტლაძეს. დაჭრილი სამკურნალოში წაიყვანეს. ჭრილობა მძიმე გამოდგა.

⁂ ამავე დღეს განჯის ვიწრო ქუჩაზედ პოპკოვის ბამბის საკეთებელს ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს. ზარალი 200 მანათამდეა.

⁂ 1 ამ თთვისას მიხეილის ქუჩაზედ ემინოვის სახლთან იპოვნეს ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ 29 სექტემბერს თათრის მოედანზედ ქალაქის არხის გაყვანის დროს მიწა მოირღვა და ქვეშ მოიყოლია ორი მუშა: სიმონ ივანოვი და სააკ აივაზოვი. მუშებს მალე გადაასცალეს მიწა და გადაარჩინეს. არხის ზედამხედველად ქალაქის ხუროთ-მოძღვარი მუხარინსკი იყო.

ქართულის თეატრის მატიანე

ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი

„დანაშაული და სასჯელი", მელოდრამა 5 მოქმედებად, თხზ. ბელლოსი, თარგმანი ვ. აბაშიძისა.

ჟორჟ დე-გამელს (სვიმონიძე) უყვარს კორა (ავალიშვილისა). კორასაც უყვარს, ანუ ჰგონია მაინც, ვითომც უყვარდეს ჟორჟ დე-გამელი. კორა სულით ავადმყოფი ქალია. მას არ აკმაყოფილებს ერთგული სიყვარული, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ჟორჟ დე-გამელს ვუყვარვარო, სწორედ ამიტომ არ აფასებს ამ სიყვარულს და სხვაგან ეძებს სიამოვნებას. ჟორჟი იჭვიანობს. კორას ესა სწყინს და სწორედ ამ იჭვიანობის გამო სძულდება ჟორჟი და ჰღალატობს. ჟორჟს ეს ვერ აუტანია, ერთხელ ძლიერ აღელდება და კორას რევოლვერს ესვრის და პირისახეს დაუსახიჩრებს. კორას უფრო შესძულდება ჟორჟი და სასამართლოში უჩივის, შურს ეძიებს და ბრალსა სდებს, ჩემი მოკვლა და გაქურდვა უნდოდაო. ჟორჟს 5 წლით კატორგაში გაგზავნას გადაუწყვეტავენ. კორას (ლამაზი ქალია) გარს ეხვევიან ფულიანი ყმაწვილი კაცები და მათ შორის ვიქტორ მაზილიე (აბაშიძე) და პოტენი (გედევანოვი). გაივლის მცირეოდენი ხანი. კორას აგონდება თავისი ჟორჟი და ისევ შეუყვარდება. რვა წლის განმავლობაში სულ საყვარელს ჟორჟზედ ჰფიქრობს. ჟორჟს სასჯელის ვადა გაუთავდება, დაბრუნდება პარიჟს და გვარს გამოიცვლის. შეუყვარდება გასათხოვარი ქალი, მარსელა დე-რივ (მელიქიშვილისა), და ცოლად შეირთავს. შემთხვევით ჟორჟი მივა კორას სახლშა; ერთმანეთს იცნობენ; კორა შეიტყობს ჟორჟის ბედნიერებას და სცდილობს ეს ბედნიერება მოუშხამოს როგორმე, რადგანაც, როგორც თითონ დარწმუნებულია, ჟორჟი მე მიყვარს და გულგრილად ვერ ვუყურებ მის ბედნიერებასაო. კორა იმით იმონებს ჟორჟს, რომ შენს დანაშაულობას ცოლს შევატყობინებო. ჟორჟს ცოლი უყვარს და სცხვენიან მისი, ამიტომ ემორჩილება კორას მთელს ღამეებს იმასთან ატარებს და ქაღალდის თამაშობას არის იძულებული. ჟორჟის ცოლი იჭვიანობს, მივა ერთხელ კორას სახლში და ორივეს ერთად მოასწრობს. ჟორჟი თავს იმართლებს და ყველაფერს უამბობს ცოლსა. კორა ჰკარგავს იმ უკანასკნელს ძალას, რომლითაც ჟორჟს იმონებდა, ეს ძლიერ აწუხებს და ჭკუიდგან იშლება. უკვე ჭკუაზედ შეშლილი უკანასკნელს საშუალებას იგონებს შურის საძიებლად: სწერს წერილს პროკურორს და ატყობინებს, ჟორჟ დე-გამელი პარიჟს დაბრუნდაო. (საფრანგეთის კანონის ძალით, კატორგაში გაგზავნილ დამნაშავეთ ნება არა აქვთ პარიჟში დაბრუნებისა). ეს წერილი ჩაუვარდება ხელში ვიქტორ მაზილიეს, რომელიც თუმცა გარყვნილი კაცია და მთელს სიცოცხლეს ქეიფსა და ყომარბაზობაში ატარებს (ასეთივეა ვიქტორის მეგობარი პოტენიც), მაგრამ ძლიერ კეთილის გულის პატრონია და ამიტომ ეს წერილი პროკურორის მაგიერ მიაქვს ჟორჟთან. კორა ჭკუაზედ შეიშლება და ჟორჟი-კი ცოლს შეურიგდება.

აი მოკლე შინაარსი ამ მელოდრამისა. სწორედ მოგახსენოთ, იქნება ეს მელოდრამა ურიგო არ იყოს, მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ ჩვენის თეატრისა და ჩვენის საზოგადოებისათვის ეს მელოდრამა სრულიად შეუფერებელი და მნიშვნელობას მოკლებულია. ისეთი ხასიათის ქალებს, როგორიცა აქვს კორას, ევროპის დიდს ქალაქებში თუ შეხვდებით, მაგალითად: პარიჟსა, ლონდონს და სხვაგან. დასავლეთ ევროპაში დიდ წარმატებასთან ერთად, სამწუხაროდ, ზნე-დაცემულობაც დიდია და აი, სწორედ ამ ნაკლს ევროპის ცივილიზაციისას გვიხატავს ბელლოს მელოდრამა. ეს მელოდრამა ჩვენის ცხოვრებისათვის სრულიად უცხოა.

როგორცა ვსთქვით, კორა სულით ავადმყოფი ქალია, ასეთივე არის ჟორჟი (მხდალი, უხასიათო), უხასიათო კაცები არიან აგრეთვე ვიქტორ მაზილიე და პოტენი, რომელთაც პარიჟის გარყვნილების მორევში შესცურეს და ათის წლის ქეიფის შემდეგ ძლივს მოვიდნენ გონს და თავისს სახლსა და საქმეს დაუბრუნდნენ.

არა გვგონია, ეს პიესა თვით სამშობლოშიაც დიდი ხანია დავიწყებული არ იყოს და გვიკვირს, რა საჭირო იყო მკვდრეთით აღდგენა ამ პიესისა

ორი სიტყვაც. ასეთის პიესის წარმოდგენისთვის საჭიროა სცენის კარგი მოწყობილება, კარგი ტანისამოსი, კარგი და გამოცდილი რეჟისორი და სხ. რადგანაც ეს პიესა, როგორც სხვა ბევრი ფრანგული პიესა, მხოლოდ მაშინ თუ ემსგავსება რასმე, როცა უნაკლულოდ იქნება წარმოდგენილი. გუშინ-წინ სამწუხაროდ ეს ასე არ იყო. პირველს მოქმედებაში, მაგალითებრ, პარიჟის ნაფიც-მსაჯულთა და ჟურნალ გაზეთების წარმომადგენელთა მაგიერ სცენაზედ ისხდნენ შეუფერებელის ტანისამოსით ვიღაცა ნორჩი ყმაწვილები; არტის-

---

წაწეულა ჩვენის ისტორიის გამორკვევის საქმე.

მაგრამ ბროსეს ნაწერებიცა აქაიქ ფრანგულ ჟურნალებშია გაფანტული და ძნელად საშოვნელი, ანუ უცხო ენაზეა დაბეჭდილი და ამ მიზეზის გამო უსარგებლოა ჩვენის ისტორიის იმ მოყვარულთათვის, რომელთაც ფრანგული არ იციან. ისიც ტყუილად ჰგონიათ ზოგიერთებს, რომ მისი თხზულებანი ყოვლადვე უნაკლულო და სრული იყოს. ბროსემაც ბევრი ტყუილი და უსწორ-მასწორობა შემოიტანა ჩვენს ისტორიაში, რადგან რიგიანად განვითარებული არ იყო ჩვენის ენისა და ძველის ასო-მთავრულ, ქარაგმიან ჩართულ ნაწერის კითხვაში. განსაკუთრებით სავსეა შეცდომით მისი ეგრედწოდებული Voyage archéologique, სადაც შეკრებილია წარწერანი ეკლესიებისა, წიგნებისა და სხვ. (არ უნდა დაივიწყოთ, რომ ბროსე ერწმუნებოდა სხვის წაკითხულს წარწერას). ეს პირველად შენიშნა დ. ბაქრაძემ და, როდესაც ჩვენც დავრწმუნდით, რომ სწორედ შეცდომით წაუკითხნია ბროსეს წარწერანი, ეს აზრი ბროსეს შესახებ გამოვთქვით ცალკე წერილში (იხ. «Новое Обозрѣніе», 1890 г. Ноябрь). გარდა Voyage-ს შეცდომებისა, ბროსეს არა ერთი შეცდომა შეჰპარვია იმ საისტორიო საბუთებშიაც (სიგელ-გუჯრებში და სხ.), რომელიც ჩაურთავს თავის Introductions და addition-ებში. ქართული საბუთებიც ხშირად სწორედ არა აქვს გადათარგმნილი ფრანგულად და ეს უფრო ამრავლებს მის ნაწერების ნაკლულევანებას.

მაგრამ, რაცა ვთქვით, ის კიდევ არაფერია. ბროსეს მთელი საქართველო დაუვლია, მაგრამ დიდად საყურადღებო საისტორიო საბუთები მაინც ვერ მოუპოვებია. ამას იმიტომ-კი არ ვამბობთ, რომ ვუსაყვედუროთ მეცნიერს არქეოლოგს, რომელსაც არც დრო ჰქონდა და არც იმდენი ცოდნა ქართულის ძველის ენისა, რომ გულ-დადებით და აუჩქარებლად დაჰკვირებოდა საბუთებსა და მოთმინებით ეძებნა ეს საისტორიო საბუთები. ის დაიარებოდა საქართველოში სხვისის მინდობილობით, სხვის ხარჯზედ და სხვის ბრძანებით; სჩქარობდა, ხშირად ერთს თვალს გადაავლებდა ეკკლესიების წარწერებს და ახლა სხვაგან მიეშურებოდა. ამის გამო მოხდა ის, რომ მეცნიერმა არქეოლოგმა მრავალს მეტად შესანიშნავს საბუთს ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია, ბევრი რამ აურია ერთმანეთში სიჩქარის გამო, ხოლო მრავალი რამ ვერც-კი შენიშნა, როგორც ჩვენ სრულიად დავრწმუნდით იმავე საარქეოლოგიო საგნების განხილვით, რომელიც ბროსეს ხელში ჰქონია და აღუწერია. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო დადიანის წიგნთ-საცავში და სინოდის კანტორის გუჯრებში, ბროსესგან განხილულებში, მოიპოვება მრავალი ფრიად საყურადღებო საისტორიო საბუთი, მეოთხე საუკუნიდგან დაწყებული (თუ საისტორიო წერილები, თუ ქრონიკები, თუ სიგელ-გუჯრები), რომელნიც შუქსა ჰფენენ, ავსებენ და ამტკიცებენ ჩვენს ძველსა და ახალს მატიანეს.

რაც შეეხება ჩვენის ისტორიის ქრონოლოგიის დამყარებას, ბროსე ოდნავ წაწეულა წინ ვახტანგ-ვახუშტს შემდეგ. უფრო-კი მათს ქრონოლოგიას დამყარებია.

ყველა ამას მხოლოდ იმისთვის ვამბობთ, რომ ოდნავ მაინც შევიგნოთ, თუ რა მდგომარეობაშია ეხლა, ბროსეს შემდეგ, ჩვენი ისტორიოგრაფია, რა გვაქვს გამოკვლეული და რა გვაკლია და, მაშასადამე, რა ნაირი შრომა უძევს წინ ჩვენის ისტორიის ყოველს მოყვარულსა და მკვლევარს. დიაღ, ჩვენს ისტორიას, ბროსეს შემდეგაც ხშირი სიბნელე აქვს მოფენილი რომელიც უნდა განიბნიოს. თვით ბროსეს ზოგიერთ ნაწერს ეჭირვება შესწორება. აუცილებლად საჭიროა ყოველი ღონე იღონონ ჩვენის ისტორიის მოყვარულთა, რათა, რამდენადაც შეიძლება, სრულად და გულდადებით არა თუ აღწერილ იქმნას საქართველოს ყველა საარხეოლოგიო ნაშთი, სადაც კი მოიპოვება, არამედ ახალ ნაშთების აღმოჩენასაც სრული ყურადღება მიექცეს. მით უმეტეს საჭიროა, მიექცეს ყურადღება ამ ახალ საბუთებს, რომ მრავალი საისტორიო წარწერა იშლება დროთა ვითარებისაგან, მრავალი სრულიად იკარგება, ბევრი

ტები თავ-თავის დროზედ არ გამოდიოდნენ სცენაზედ და სხ.

რაც შეეხება არტისტებს, ვერაფერს ვუსაყვედურებთ, ქ-ნმა ავალიშვილისამ ძლიერ კარგად შეასრულა თავისი როლი. მოგვეწონა აგრეთვე ბ-ნი სვიმონიძე, რომელიც ამ საღამოს დინჯადა და მოფიქრებით თამაშობდა. ურიგო არ იყო თამაშობა დანარჩენთაცა.

N

უცხოეთი

საფრანგეთი. ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ საფრანგეთში გარდაიცვალა შესანიშნავი მეცნიერი რენანი. გაზ. „Рус. Вѣд.“-ში კორესპონდენციაა დაბეჭდილი პარიჟიდგან რენანის გარდაცვალების შესახებ, მოგვყავს ეს კორესპონდენცია შეუმოკლებლივ.

გუშინ საღამოსაო, სწერს კორესპონდენტი 20 სექტემბერს: მთელს პარიჟში სამწუხარო ამბავი გაისმა: რენანი სიკვდილის პირად არის! იქნება ამ ღამეს ველარ გასტანოსო!.. თუმცა ეს ხმა მოულოდნელად გაისმა, მაგრამ არავინ გაუოცებია. სწავლულთა და მეცნიერთა შორის დიდი ხანია იცოდნენ, რომ შესანიშნავს აკადემიკოსს ძველის-ძველადგანვე გულის ტკივილი აქვს და ძალიან მოუძლურებულიაო. ვინც ამ ზამთრიდგანვე ხშირად შეხვდებოდა ხოლმე რენანს, ყველა ჰგრძნობდა, რომ ამ მსწავლულს საამქვეყნიო პირი აღარა აქვსო. აი რას ამბობს იმისი დაახლოვებული მეგობარი ფერდინანდ ფაბრი: „შევხვდი როგორღაც ტენთან და სწორედ გამაოცა იმისმა სისუსტემ. სულს ძლივს ითქვამდა, დიდის გაჭირვებით ჰლაპარაკობდა, ხმა მიკნავებული ჰქონდა და სიტყვას ძნელად აბოლოვებდა. ეტყობოდა, რომ იტანჯებოდა და დიდადაც იტანჯებოდა...“

ასეთ მოუძლურების მიუხედავად, რენანმა ცხოვრება სულ არ შეიცვალა და დრო-გამოშვებით იმ სადილებსა და წვეულებებზედაც-კი დადიოდა, რომელსაც მისი ამხანაგი სწავლულები ჰმართავდნენ. მაისის თთვის დამდეგს იგი თავმჯდომარეობდა Association des études grecques-ის წვეულებაზედ და მოკლე, გრძნობით სავსე სიტყვაც წარმოსთქვა: „თქვენ, ბატონებო, სთქვა მან სხვათა შორის: მზის სხივი მოაყენეთ ჩემის სიცოცხლის უკანასკნელს დღეებს. ადვილად საფიქრებელია, რომ უკანასკნელად ვთავმჯდომარეობდე ამ გვარს დღესასწაულზედ. სულ ერთის საათის წინადაც მე ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი, თქვენს კრებას მოვესწრებოდი, თუ არა. მადლობა ღმერთს, მე მაინც აქა ვარ, თქვენს შორის, და სამსახურიდგან თავ-დანებებულს, გამოუსადეგარს ჯარის-კაცს არცა ვგევარო“. ვიდრე რენანი ამ სიტყვას წარმოსთქვამდა, თავისის სიძის, პროფესორის პსიხარის შემწეობით ბალკონზედ გავიდა მოსაღონიერებლად, იქამდე დასუსტებული იყო.

რენანის წინასწარმეტყველება გამართლდა. ეს წვეულება მართლაც უკანასკნელი წვეულება იყო, რომელზედაც იგი თავმჯდომარეობდა. ისე სუსტდებოდა, რომ რამდენსამე დღეს შემდეგ თავის ქვეყნელ ბრეტონელთა ყოველ თთვიურს სადილზედ ველარ დაესწრო, მხოლოდ სადილის დასასრულს მივიდა თავის შვილის, მხატვარ ანრი რენანის მხარზედ დაყრდნობილი და მშვენიერი ბრეტონული ლეგენდა უამბო იქ მყოფთ მშვიდობიანის სიკვდილის შესახებ.

ივლისის დამდეგს ეს შესანიშნავი მწერალი თავისს სამშობლო ბრეტანში წავიდა ოჯახობით იმ იმედით, რომ ზღვის ჰაერი მომაღონიერებსო. მაგრამ იმედმა უმტყუნა: თანდათან უფრო და უფრო უარესადა ხდებოდა და გული ხშირად მისდიოდა. ერთ ასეთ გულ-წასვლის შემდეგ მან სურვილი განაცხადა, რომ ისევ პარიჟში წავიდეთ, დეე იქ ამომივიდეს სული, ჩემს საყვარელს Collège de France-შიო, სადაც ამ 30 წლის წინად წაიკითხა თავისი პირველი ლექცია.

დიდის წვალებით დაბრუნდა პარიჟში, დაუყოვნებლივ დაიბარა თავისი გამომცემელი, კალმან ლევი, რამდენიმე მანუსკრიპტი გადასცა მისის სიკვდილის შემდეგ დასაბეჭდად. ჰაერის გამოცვლა იყო მიზეზი, თუ ის გარემოება, რომ რენანი თავისს ჩვეულებრივს ცხოვრებას ისევე დაუბრუნდა, არ ვიცით, მხოლოდ პირველს ხანს-კი პარიჟში თავს უკეთა ჰგრძნობდა და, ექიმების რჩევით, სეირნობაც-კი დაიწყო. მაგრამ ამ უკედ ყოფნამ დიდხანს არ გასტანა. წარსულის კვირის სამშაბათს სეირნობის დროს იგი ცოტა გაცივდა. ისე ცუდად გახდა, რომ გუშინვე იმის ოჯახობას იმედი არა ჰქონდა მისის გადარჩენისა. რენანი უკანასკნელ წუთამდე გრძნობას მაინც არა ჰკარგავდა. გუშინ საღამოს დიდად ძნელი ოპერაცია აიტანა და მთელის ღამის განმავლობაში ხან შვილს დაუძახებდა, ხან ქალს ხოლმე და რამდენჯერმე უთხრა თურმე თავის ქალიშვილს: „გათავდა, ძალიან კარგად მოგეღო ბოლოო“. დილის 6 საათზედ მცირეოდენ სულთმობრძაობის შემდეგ გარდაიცვალა.

შეიტყეს თუ არა ამბავი მისის გარდაცვალებისა პარიჟის სწავლულთა და ლიტერატორთა, Collège de France აივსო მისის მეგობრებითა, ნაცნობებითა და მისის ნიჭის პატივის-მცემლებით, მაგრამ გარდაცვალებულის სადგომში მარტო მახლობლებსა და მეგობრებს აძლევენ შესვლის ნებას: ყვავილებით მოფენილი გვამი შესანიშნავის ფილოსოფოსისა უბრალო საწოლზეა დასვენებული პაწია სასტუმრო ოთახში, იმის სამუშაო ოთახის გვერდით. სიკვდილს სულ არ შეუცვლია განსვენებულის ნათელი, მშვიდი და ოდნავ დამცინავი მეტყველება სახისა...

რაღა თქმა უნდა, ყველა საღამოს გაზეთში ვრცლად არის დაბეჭდილი წერილები განსვენებულის სახსოვრად, მისის მოღვაწეობისა და იმის შესახებ, თუ საფრანგეთის საზოგადოების გონებრივად განვითარების ისტორიაში რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გარდაცვალებულს. ის გაზეთებიც-კი, რომელნიც მეგობრულად არ ეკიდებოდნენ რენანს, თანახმანი არიან ეხლა, რომ იგი თავისს საუკუნესი ერთი დიდებულ კაცთაგანი იყო და თავისს თანამედროვეებზედ დიდად დიდი გავლენა ჰქონდაო.

წვრილი ამბავი

საიმპერატორო თეატრების დირექციას ქ. ვენას განზრახვა აქვს ამ ზამთარს კვირა დღეობით გაჰმართოს წარმოდგენები მდაბიო ხალხისათვის და, რაც შეიძლება, იაფად გაჰყიდოს ბილეთები. სულ მცირე ფასი იქმნება დანიშნული ბილეთისათვის სახელდობრ, 10 კრეიცერი (8 კაპ.). ამ თეატრში წარმოადგენენ გიოტესა, შილერისა, შექსპირისა და აგრეთვე სხვა გამოჩენილ მწერალთა პიესებს.

— კანადაში (ამერიკაშია) გაუკეთებიათ ყველი 10,000 ძროხის ერთის დღის ნაწველის რძისაგან. ყველის გარეგული ისეთი დიდია თურმე, რომ 11,000 კილოგრამს იწონს (რვაას ფუთამდე). კანადელებმა ევროპაში დეპეშა გაჰგზავნეს და აცნობეს, რომ ეს ყველი 1893 წ. ჩიკაგოს იქმნება გამოფენილი და შემდეგ ლონდონს გაიგზავნებაო.

— ამ ჟამად ცარიცინის (რუსეთშია) სამკურნალოში რჩება ერთი ხოლერით ავადმყოფი, 115 წლის მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც მეხსიერება ძლიერ კარგი აქვს თურმე და ბევრი ძველი ამბავიც ახსოვს. ამ მოხუცებულთან ხშირად დადიან და დიდის პატივის-ცემით ეკიდებიან მისი ღრმად მოხუცებული შვილიშვილები.

— ლონდონში საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი დააარსეს. ლორდ როზბერიმ ამ ინსტიტუტის დაარსების დღეობაზედ სიტყვა წარმოსთქვა და გამოარკვია ის, თუ როგორ წაიწია წინ სწავლა-განათლების საქმემ ინგლისშიო იოსებ ლანკასტერს შემდეგ. იოსებ ლანკასტერმა, ამ უბრალო კაცის შვილმა, თავის მოხერხებით პირველ დასაწყისს სკოლებში 10,000 ყმაწვილი მიიზიდა სასწავლებლად. ახლა-კი 4.000,000 ყმაწვილი სწავლობს იმისთანა სკოლებში და ყველა მათ სწავლის ხარჯს ხაზინა იხდის.

აღნიშნა რა ეს გარემოება, ლორდ როზბერიმ თავისი სიტყვა იმითი დაათავა, რომ ხელ-საქმის განკარგებაა უპირველესი საგანი და დანიშნულება საპოლიტეხნიკო სასწავლებლებისაო. ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებანი, საზოგადოებათა პალატა და ბევრი სხვა რამ ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ერთი გზა დიდებისა არა აქვს შეკრული ხელოსანსაო, სთქვა ბოლოს ინგლისის გარეშე საქმეთა მანისტრმა.

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, მადლობა გამოვუცხადო გაზეთის საშუალებით ქვემო-მაჩხაანის ხოლერის წინააღმდეგ რაზმს, სიღნაღის წიგნის მაღაზიის ამხანაგობას და ბ-ნს გ. ზ., რომელთაც არ დაიშურეს და თითო მანათი მაწყალობეს ხოლერით დაზარალებულს.

სოსია წიკლაშვილი

დეპეშა

30 სექტემბერი

შანჰაი. ინგლისელთა 10 გემი, რომელიც ზღვის ძაღლებს იჭერდა, შეიპყრეს, ვლადივოსტოკს მიიყვანეს და სახაზინოდ შერიცხეს.

ბერლინი. ორმა დიდმა სახელმწიფომ ურჩია პრინც ფერდინანდ კობურგელს, ნუ შეასრულებ შენს განზრახვას და ნუ წახვალ ხვანთქართანაო. პრინცმა ამის გამო გადასდო წასვლა სტამბოლს.

ვენა. «Deutsches Wolksblatt-ში დაბეჭდილია დღეს პროგრამა, რომელიც უნდა განიხილოს ერთა კონფერენციამ. ეს ერთა კონფერენცია შეიკრიბება აქ ნოემბერს. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ დელეგატები რუმინიისა, ვენგრიისა და ბუკოვინისა, აგრეთვე დელეგატები სერბებისა, ხორვატებისა, სლოვენებისა, ჩეხებისა, რუსინებისა, სლოვაკებისა. დაესწრებიან აგრეთვე ქრისტეანობრივის სოციალიზმის აღმსაარებელნი გერმანელნი. პროგრამაში მოხსენებულია შემდეგი განსახილველი საგნები: 1) შეცვლა დუალიზმისა ავსტრიაში ფედერაციად; 2) გამიჯვნა და განცალკევება თითოეულ სახელმწიფოსი; 3) ვენა აღიარებულ იქმნას მოკავშირეთა ცალკე სამფლობელოდ და 4) დაარსება მოკავშირეთა კრებისა და ცალკე პარლამენტებისა. დასასრულ პროგრამის საგანთა შორის განსახილველად დანიშნულია ის, თუ როგორ უნდა მოეწყოს ებრაელთა საქმე.

1 ოქტომბერი

პეტერბურგი. ამ მიმდინარე წელს არა-ჩვეულებრივ იქნება გახანგრძლივებული ვადა 15 ოქტომბრამდე უმაღლესს სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ სამხედრო ბეგრის საკრებულოებში განცხადებათა შეტანისა იმის შესახებ, რომ სწავლის დამთავრებამდე შეღავათი მიეცეთ და ჯარში გაწვეულ არ იქმნენ და რომ სწავლის დამთავრების შემდეგ სამხედრო ბეგარას „ვოლნოაპრედელიაუშჩად“ გადავიხდითო.

რადგან სენმა შესამჩნევად იკლო, ცნობები ავადმყოფების შესახებ კვირაში ერთხელ-ღა დაიბეჭდება და სა-

---

კერძო კაცთ უვარდება ხელში და სამუდამოდ ეკარგება ჩვენს ისტორიას; ან ევროპიელთ მიაქვთ, თავიანთ მუზეუმებს ამდიდრებენ და ჩვენ-კი ხელცალიერნი ვრჩებით. განსაკუთრებით საჭიროა შეიკრიბოს მრავალი სიგელ-გუჯარი, რომელიც კერძო კაცთა ხელში იკარგება, ლპება, იხევა, ანუ ცეცხლში იწვის. უ ამ სიგელ-გუჯრებოდ ჩვენ არას დროს არ გვექნება სამოქალაქო ისტორია („ქართლის ცხოვრება“ იძლევა მხოლოდ საპოლიტიკო ისტორიის მასალას), რომელსაც აწინდელი საისტორიო მეცნიერება უმეტესს ყურადღებას აქცევს. დიდი ხანია ევროპიელთ თავისი სიგელ-გუჯრები შეჰკრიბეს და დაბეჭდეს კიდეც. რუსეთშიაც ის სიგელ-გუჯრები გამოცემულია მრავალ წიგნებად და იწოდება „Акты Историческіе, Акты Юридическіе“ და სხ.

რასაკვირველია, დრო არის, რომ ჩვენც ყოველივე საისტორიო ცნობანი შევკრიბოთ, განვმარტოთ და შეუცვლელად დავბეჭდოთ ქართულადვე და არა უცხო ენაზედ.

მხოლოდ ამ გვარ შრომასა და ღვაწლს შემდეგ შეიძლება შეივსოს ჩვენის მატიანეების ნაკლი, დამტკიცდეს მატიანეთა ცნობანი ახალის არქეოლოგიურის გამოკვლევით და უკანასკნელ მკვიდრად დამყარდეს ჩვენის ისტორიის ქრონოლოგია, რომელსაც მრავალი უსწორ-მასწორობა ატყვია. დიაღ, ვიდრე ჩვენი არქეოლოგია არ შემუშავდება, შეუძლებელია ჩვენმა ახალგაზდებმა ხელი მიჰყონ საქართველოს ისტორიის გამოკვლევასა და აღდგენას. ჩვენში (არა თუ დიდ ქალაქში, არამედ პროვინციებშიაც) განათლებულნი და საისტორიო შრომათათვის განვითარებულნი არა ერთი და ორი მოიპოვებიან, რომელთაც შეუძლიანთ ხელი მოჰკიდონ ჩვენის ისტორიის გამოკვლევას, მაგრამ რადგან არქეოლოგიურად შემუშავებული მასალა არა აქვთ, ვერ უტვირთნიათ ეს საქმე და სხედან გულ-ხელ-დაკრეფილნი. როცა გვისაყვედურნია ვისთვისმე ასეთი უსაქმურობა, იმათ სამართლიანად უთქვამთ ჩვენთვის: მასალა ვერა გვიპოვია-რა, ხელში არა გვიჭირავს-რა და რა გავაკეთოთო. გარდა „ქართლის ცხოვრებისა“, რომელსაც თვით დამტკიცება და კრიტიკული გამორკვევა ეჭირვება, ჩვენ თითქმის არა მოგვეპოვება-რა; თუმცა ფრანგულს ენაზედ მოიპოვება საისტორიო მასალა, მაგრამ ჯერ ფრანგულის ენის უცოდინრობით ხელი ვერ მიგვიწვდება იმ მასალაზედ და მერე კიდევ ძნელი საშოვარია და აქა-იქ არის გაფანტული ცალკე წერილებათ ჟურნალებშიო. საბუთიანობა ამ პასუხისა უფრო გაძლიერდება, თუ დავუმატეთ ისიც, რომ ფრანგულს ენაზე დაბეჭდილი ქართული საისტორიო წყაროები საკმაოდ დამახინჯებულია ანუ უსწორ-მასწოროდ თარგმნილი, რის გამოც ფასი აკლდება ამ წყაროებს. ამ სახით, თუმცა არა ერთი და ორია ახალგაზდებში ისეთი, რომელსაც ჰსწყურიან ცოდნა და კვლევა ისტორიისა. ამისთანანი გაფაციცებით დაეძებენ საისტორიო მასალებს ჩვენის ძველის ყოფა-ცხოვრების გამოკვლევისათვის, და, როდესაც ბროსეს თხზულებათა გარდა, თითო-ოროლა მასალას ჩაიგდებენ ხელში, მაშინვე შეუდგებიან სხვა-და-სხვა საგნის განჩხრეკას ჩვენის წინაპართა ყოფა-ცხოვრებისას, მაგრამ რადგან მცირე მასალა აქვთ და ისიც აუხსნელ-განუმარტველი, ამის გამო, თუმცა ნიჭიც და განათლებაც მოსდევთ, მაინც არა იშვიათად მძიმე შეცდომები მოსდით, და თუ არ უმეტეს აბნელებენ, შუქს ვერ ჰფენენ წყვდიადით მოცულ წარსულთა დროთა. ასეთის შეცდომით სავსე კვლევა ამ გვართა ახალგაზდათა არა თუ ხელს არ უმართავს, არამედ, პირ-იქით, წინ ეღობება შემდეგთ გამომკვლევართა, რადგან ყოველმა ახალმა მკვლევარმა ჯერ ხომ ის უნდა შეისწავლოს, რაც მისთვის საინტერესო საგნის შესახებ დაწერილა, დაარღვიოს იმ ნაწერით შემოტანილი ისტორიული სიცრუე და შეცდომით დასკვნილი აზრი და მხოლოდ ამას შემდეგ მოჰკიდოს ხელი იმ საგნის გამოკვლევას. ყოველსავე ამას მაშინ ავიცილებთ თავიდგან, როცა დავბეჭდავთ და გამოვაქვეყნებთ ჩვენ ქვეყანაში მრავლად დაცულს საისტორიო საბუთებს.

თ. ჟორდანია

(დასასრული იქნება)

განენბოდ მხოლოდ მაშინ გამოცხადდება ეს ამბავი, თუ ვინიცობაა სენმა იმატა, ან ახალს ადგილებში იჩინა თავი.

„Бирж. Вѣд.“-ი იუწყება: ორენბურგის რკინის გზის სამმართველომ უკვე აცნობა გზათა უწყების სამინისტროს, უმთავრესნი აქციის პატრონნი თანახმანი არიან ეს რკინის გზა 1893 წლის იანვრიდგან ხაზინას გადასცენ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ აქციები ობლიგაციებად იქმნას შეცვლილიო.

„Новое Время“ ამბობს: რუსეთის რკინის გზების ახალის წესდების პროექტი ამ წლის დამლევამდე იქმნება წარდგენილი სახელმწიფო საბჭოში დასამტკიცებლადაო.

კამიშლოვი. ნავოსნობა დასავლეთ ციმბირის მდინარეებზედ უკვე მოისპო.

ლონდონი. დღეს ვესტმინსტერის სააბატოში ტენნისონი დაასაფლავეს. უშველებელი შენობა ხალხით იყო სავსე. სამეფო გვარეულობამა და პოლიტიკისა და ლიტერატურის შესანიშნავმა მოღვაწეებმა დიდ-ძალი გვირგვინები გამოჰგზავნეს, რომელიც დაწყობილი იყო იქვე სამარესთან, „პოეტთა კუთხეში“. იმათ შორის, რომელნიც სამგლოვიარო პროცესიას მისდევდნენ, იყვნენ: ლორდი სალისბერი, როზბერი და დიუფერინი. სააბატოდგან სამარემდე კუბოს გაცილებით განსვენებულს პატივი სცეს დედოფლისა და სამეფო გვარეულობის წევრთა წარმომადგენლებმა და დიდ-ძალმა წარჩინებულმა ხალხმა. სააბატოს მიდამოებში დიდ-ძალი ხალხი იყო თავ-მოყრილი.

ბელგრადი. პაშიჩმა განაცხადა «ოდიეკში», რომ 27 რიცხვს საღამოთი, როდესაც პეტროვიციდგან მოვდიოდი ეტლით, გაისმა ძახილი „შესდექითო“ და ორჯელ ესროლეს რევოლვერი ჩემს ეტლს, ასე 30 მეტრის მანძილიდგანაო. მსროლელი იყო ეტლს უკან მომავალი მხედარი, რომელიც დაპატიმრების შემდეგ ადგილობრივი პოლიციელი აღმოჩნდა. იმისს რევოლვერში, ორს ნასროლს ტყვიას გარდა, სამიც სხვა ტყვია იყო, რომელიც არ გავარდნილიყო.

ნიუ-იორკი. ამერიკის გამოჩენის 400 წლის იუბილეის დიდის ამბით დღესასწაულობენ. უკვე აკურთხეს ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი, ნიუ-იორკში მყოფ იტალიელ ახალშენელთა მიერ აგებული. ასეთი დღესასწაულები გადაიხადეს ბოსტონს, ბალტიმორს, ფილადელფიასა და ჩიკაგოს.

ლონდონი. გურულები, რომლებიც ბუფფალო ბილლის წარმოდგენებში იღებდნენ მონაწილეობას, სამშობლოში ბრუნდებიან. ინგლისის საზოგადოებამ გურულებს ადრესი მიართვა რომელშიაც ქებით იხსენიებენ იმათს ცხენოსნობას. ადრესზედ თითქმის 20,000 კაცს უწერია ხელი.

2 ოქტომბერი

პეტერბურგი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი დიდი მთავრინა კსენია ალექსანდრეს ასულითურთ გუშინ $11^1/_2$ საათ. მობძანდნენ ვარშავაში, 12 საათზედ კი წაბძანდნენ გატჩინოს. სადგურ პრაგაზე მათ უდიდებულესობას მიეგებნენ გენერალ გუბერნატორი, იქაური მოხელენი და საზოგადოების წარმომადგენელნი.

გაზეთი «Бир. Вѣд.» იუწყება, რომ შარშან სესხად გაცემულს პურს, წელს უკან დაბრუნებულს სესხადვე მისცემენ წრევანდელ მოუსავლობით დაზარალებულთ.

პარიჟი. ანარქისტი ფრანსუა, რომელსაც ჰბრალდება რესტორან „ვერის“ აფეთქება, შეიპყრეს ლონდონში. ფრანსუამ პოლიციის მოხელეთ დიდი წინააღმდეგობა გაუწია.

ვენა. გუშინ საღამოს 9 საათზედ გერმანიის იმპერატორი დაბრუნდა ბერლინს. ამბობენ, რომ მომავალ გაზაფხულზე იმპერატორი ნახამს ვენგრიას და რამდენსამე დღეს გაატარებს გედელში. იმპერატორმა ფრანც იოსებმა მიაცილა სტუმარი ვაგზალამდე და საღამოს 10 საათზედ წაბრძანდა გედელს.

პეტერბურგის ბირჟა, 29 სექტ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,93	7,90	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	$158^1/_2$	158	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,10	1,08	— ,,
$5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	238
—მეორისა	— ,,	218	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	$191^1/_2$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
$6^0/_0$.	— ,,	$102^1/_4$	— ,,
$5^0/_0$.	— ,,	99,87	— ,,
ქუთაისის ბანკისა $6^0/_0$.	— ,,	$102^1/_4$	— ,,
$5^0/_0$.	— ,,	99,87	— ,,
$5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	98 ,,	— ,,

განცხადებანი

ძველი სენაკის ბაზრობა (იარმუკა), რომელიც გადადებული იყო ხოლერობის გამო, ახლა, მთავრობის ნება დართვით, დაიწყება 3-ს ოქტომბერს და განიგრძობა, ჩვეულებრივ, დაბა ძველს ძენაკში. 3—3

გამოვიდა და დაურიგდა აგენტებს.
ქუთაისის ამხანაგობის მიერ გამოცემული

1) **„სურათები ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან“**
დუტუ მეგრელისა;

2 **„დედა-შვილის თავ-გადასავალი“**
(აპენინის და ანდის მთები)
ე. დე—ამიჩისისა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამავე ამხანაგობის შემდეგს აგენტებს:

ქუთაისში ძმ. ჭილაძეთა და წერეთლების წიგნის მაღაზიებს.

ტფილისში წერა-კითხვის და ტფილისის ამხანაგობის მაღაზიებს;

ოზურგეთში თავართქილაძის წიგნის მაღაზიას;

ბათუმში მ. ი. ნიკოლაძის გაზეთების, და წიგნების სააგენტოს;

გორში არ. კალანდაძის სტამბას;

ზესტაფონში თ. ხუსკივაძეს და ი. კაკაბაძეს;

ფოთში ნოდიას წიგნის მაღაზიას;

კავკავში ტ. კახიძეს;

საჩხერეში ყარამან ჩხეიძეს;

ახალ-სენაკში თავართქილაძის მაღაზისა;

ძველ-სენაკში ი. გოგოლაშვილს და ლ. აღლაძეს;

ოჩემჩირეში ი. ეგგელაშვილს;

ხონში ნ. წერეთელს;

ახალციხეში გრ დეკანოზზიშვილს;

თელავში მიხ. ცისკარაშვილს;

სიღნაღში მაჭავარიანის წიგნის ალაზიას;

ონში ნიკოლოოზ მრევლიშვილს;

სოხუმში ნ. ბერძენოვის ასულს.

ბაქოში გ. ხუტულაიშვილს;

ყარსში მ. მუსელიანს;

ზაქათალაში ტ. რცხილაძეს;

განჯაში დ. ქვლივიძეს;

ბაღდადში ნ. ტყეშელაშვილის ასულს;

ერევანში ს. კასრაძეს;

სამტრედიაში გელეიშვილის წიგნის მაღაზიას;

ქუთაისის რკინის გზის სადგურზედ ი. ხეთერელს. (6—3)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—118)

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5

2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5

3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5

4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80

5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50

6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30

7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და ბგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი..

რუხი მგელი

მოთხრობა გ. წერეთლისა
ფასი სამი შაური

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახების, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზე, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомми и болѣзняыми.

Составилъ В. А. Таргонскій

სააგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

„უნივერსალი სააგენტო“

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-$^0/_0$-იან მომგების ბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა სხვა-და-სხვა ქაღალდებისა, როგორც კომერციის, ისე იურისპრუდენციის შესახებისა.

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

მიიღება საწარმოებლად საქმე, როგორც სისხლის სამართლისა, ისე სამოქალაქოსი სხვა-და-სხვა სამოსამართლო დაწესებულებაში.

(საკუთარი იურისკონსულტი ჰყავს სააგენტოს).

სააგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

(20—1)

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი
(ძირის ფული **1.000,000** მან.)
პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება $5^0/_0$-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ზეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი $10^0/_0$ იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-და-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ზეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

(20—1)

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

საქართველოს კალენდარი

1893 წლისათვის,

შედგენილი და გამოცემული **ვალერიან გუნიას მიერ.**

კალენდარი კვლავინდებურად დასურათებული, უფრო სრული და ყოველის ცნობით სავსე იქნება. ფასი ისევ ის დარჩება. მიიღება დასაბეჭდად ყოველ გვარი განცხადებანი. ფასი წიგნის თითო გვერდისა საგანცხადებოდ თავში 12 მ., ბოლოში 5 მან., ნახევარი გვერდი 3 მან.

მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ: 1) გამომცემელს სათავად-აზნაურო ბანკში; 2) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში და 3) მაქსიმე შარაძის სტამბაში. (10—8)

Дозв. ценз. Тифлисъ, 2-го Октября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.